ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 123

შაბათი, 9 ივნისი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1901

ივერია

№ 123

შაბათი, 9 ივნისი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

განყოფილება

სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.
ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.
ადრესი ტელეგრამის: Тифлисъ „Фармацевтика“
(100—43—42)

„ივერიის“ რედაქციისაგან.

ვისაც ჰსურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

იძლევა
ქირით ხუთი ოთახი.
ნიკოლოოზის ქუჩა, № 21, სახლი
გ. გ. საგინაშვილისა.

პირველი კერძო
სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გელეიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ზ. კარაშეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

სალამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხნოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლ. ტ. არვანიტაკი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардiана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ტფილისის კერძო
სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა,
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მუღნი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. ზ. ახალშენიშვილი კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. მატილოვი—თვალის 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

გ. დ. მარკევიჩი—საქირურგო—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეკთაბეკოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 ს.

სალამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ახალი ამბავი

⁂ ამ ბოლოს დროს სატახტო ქალაქის გაზეთებში ხშირად იბეჭდება წერილები ამიერ კავკასიის ამბების შესახებ. ერთი დიდად საყურადღებო წერილია დაბეჭდილი, სხვათა შორის, გუშინ მიღებულ *„С-Пет. Вѣд.“* მე-149 ნომერში. წერილი აქედგანაა გაგზავნილი.

⁂ საქართველოს საეპარქიო მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ ქალაქისა და მეორე-კლასიან სამრევლო-საეკლესიო სკოლებში სწავლა გაგრძელდეს უექველად 9

ფელეტონი

უცხოთა შორის

პრესსა მე-XX საუკუნეში.—„სახალხო განათლების გამავრცელებელი საზოგადოება“ გერმანიაში.—მასწავლებელთა ჯამაგირები შვეიცარიაში, კარნეჯის შეწირულება და მკურნალთა გაჭირვება.—ლონდონის მაწანწალანი, სალისბიურისა და სხვა კეთილშობილი ლორდთა „კაბაკები“ და მანდილოსანთა ლოთობა.—25 წელიწადი ბნელ და ჭუჭყიან ოთახში.

ჟურნალ-გაზეთობა ანუ პრესსა მეშვიდე ძლიერი სახელმწიფოაო, ამბობენ, მაშასადამე, საკვირველი არაფერია, თუ ამ ძლიერ „სახელმწიფოს“ მომავალი ბედი და იღბალი ბევრს აინტერესებს. რა მოელის ევროპის პრესსას მომავალში? რა როლის შესრულებას იკისრებს იგი ხალხთა განვითარების საქმეში? როგორ სახეს მიიღებს და გზას დაადგება დღევანდელი პრესსა? ყველა ამის გაგებასა და შეტყობას არა ერთი და ორი მწერალი, ჟურნალისტი და მეცნიერი სცდილობს დღეს. სხვათა შორის ამ საგნის შესახებ საყურადღებო წიგნები გამოუცია პარიჟში ანრი ავენელს. ავენელის წიგნში შეკრებილია პუბლიცისტთა, პოლიტიკოსთა, სწავლულთა და სხვათა აზრი პრესსის მომავალის შესახებ.

როგორც ვუწყით, გაზეთი დღეს ორ საქმეს ემსახურება: 1, იგი აცნობს მკითხველს მიმდინარე ცხოვრების მოვლენასა და ფაქტებს და 2, კისრულობს აზრთა და იდეიათა კრიტიკას, აგიტაციას და პოპულიარიზაციას. თავ-და-პირველად, აღორძინებისას გაზეთს აზრად პირველი საგანი ჰქონდა, იგი დღიურ მოვლენებს, წვრილმან ამბებს აცნობდა მკითხველს. აზრთა განხილვას, ამა თუ იმ მოვლენის დასაბუთებასა და კრიტიკოსობას პრესსა შემდეგ ხანებში შეუდგა. 1702 წელს ინგლისურის გაზეთის „Daily Courant“-ის გამომცემელმა პირველ ნომერშივე გამოაცხადა, რომ ჩვენის გაზეთის საქმეს ცხოვრების მოვლენათა გადმოცემა შეადგენს, ამ მოვლენათა ვერავითარ განხილვასა და გამოკვლევას ვერ შევუდგებით: მკითხველს საკმაო გონება მოეპოვება, რომ საკუთარი აზრი და დასკვნა გამოიყვანოსო.

მაშ ამ ორ უპირველესს საქმეს შორის რომელს ამოირჩევს მე-20 საუკუნის პრესსა, რომელს მიანიჭებს იგი უპირატესობას და უფრო გულ-მოდგინედ რომელს დაუწყებს სამსახურს? ავენელის წიგნში შეკრებილია ცნობილ კაცთა აზრი აი სწორედ ამის შესახებ. ივს გიუიო, საჯარო სამუშაოთა მინისტრად ნამყოფი და „Siecle“-ს რედაქტორი, მაგალითად, გადაჭრით ამბობს, რომ გაზეთის საქმე ამბების, ცხოვრების მოვლენათა გადმოცემაა და სხვა არაფერიო. „პრესსა,—სწერს იგი,—დიდ ხანს კათედრა იყო; მომავალში იგი სავსებით ახალ ამბავთა უწყებად უნდა გადაიქცეს. დღეს არავითარი მასწავლებელი და დამრიგებელი აღარაა საჭირო, ეხლა ერთად-ერთი მასწავლებელია—ფაქტი, და გაზეთის მთავარ მოვალეობასაც კარგის თვისების ფაქტების შეკრება უნდა შეადგენდესო“. სულ სხვა აზრისაა ლიუსენ ვიქტორ-მენიე. იმის აზრით, დღევანდელი პრესსა შემცდარია, რომ დროსა და ადგილს უმთავრესად ფაქტიურ მასალის გადმოცემას ანდომებს. ამბებსა და ფაქტებს მეორე ადგილი უნდა ეჭიროთ გაზეთშიო. ვიქტორ-მენიეს სწამს იდეიურ პრესსის მომავალი. გაზეთი ხალხთა აღმზრდელი და მასწავლებელი უნდა იყოს, საუკეთესო იარაღს უნდა შეადგენდეს იგი სიმართლისა, სინათლისა და ჭეშმარიტების გასავრცელებლადაო.

საყურადღებოა აგრეთვე დეპუტატისა და ჟურნალისტის ანრი მარეს აზრი. მეოცე საუკუნეში ახალი გაზეთი უნდა გაჩნდეს,—სწერს მარე:—გულ-წრფელობა, აზრთა სიმდიდრე, სტილი და ნიჭი უნდა შეადგენდეს ამ გაზეთის ნიშნობლივ თვისებასაო. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოიპოვებს გაზეთი დიდ და საზოგადოებრივ მნიშვნელობას; დღეს-კი იმისი საგანი განისაზღვრება „სულელთაგან ფულის შეკრებით, რათა ამ ფულით ისინი გაამდიდრონ, ვინც წერა არ იციანო“.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მომავალში პრესსას ბევრად მეტი მნიშვნელობა ექმნება, ვიდრე ეხლა აქვს. ხოლო ამ დიდ მნიშვნელობას მოიპოვებს იგი იმით, რომ ერთნაირ სამსახურს გაუწევს როგორც ცხოვრების მოვლენათა გადმოცემას, ისე იმათ განმარტება-ახსნას, იდეიურ მხარეს. ჯერ ეხლავე უპირველესს გაზეთად ის ითვლება, რომელიც ორსავე ამ საქმეს კეთილ სინიდისიერად ასრულებს. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებამ და ხალხთა დაახლოვება-დაკავშირებამ ერთის რომელისამე კუთხის ამბავი ან მოვლენა საინტერესო გახადა სხვა ადგილის მცხოვრებთათვისაც. გაზეთი ამ შემთხვევაში შუამავალია; რაც უფრო სწრაფად და მარდად მიაწვდის იგი მკითხველს სხვა-და-სხვა ადგილის მოვლენებს, მით უფრო ძვირფასი და ყველასათვის საჭირო იქმნება იგი. მეორეს მხრით, ხელობათა გამრავლებამ და შრომის დანაწილებამ შეზღუდა კაცთა თვალთახედვის ასპარეზი: ზოგიერთ პროფესიის და ხელობის კაცს თავის საქმის გარდა დრო და მოცალეობაც-კი აღარა აქვს, რომ ცხოვრებას დაუკვირდეს, იმის მოვლენათა აწონდაწონვას შეუდგეს და ამა თუ იმ საგნის შესახებ მტკიცე შეხედულება შეიმუშაოს. გაზეთმა ასეთ შემთხვევაში ხელმძღვანელობა უნდა გასწიოს და კრიტიკოსისა და პოპულიარიზატორის როლი იკისროს.

ამ რიგად მომავალში იდეალური გაზეთი ის იქმნება, რომელიც ორსავე მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს და ცხოვრების ყოველ-დღიურ მოვლენათა აღნუსხვასთან ერთად სკოლის მაგიერობასაც გასწევს: ხალხის წრთვნა-განვითარებასა და სინათლის მოფენას შეუდგება.

***

„სკოლა, გაზეთი და წიგნთ-საცავი,—აი მეოცე საუკუნეში რა უფრო განვითარდება და რა უფრო მოიპოვებს მოქალაქობრივ უფლებასაო“, სწერს ერთი რუსული გაზეთი. აკი კიდეც იმიტომ სცდილობენ დღეს ისე გულ-მოდგინედ როგორც ერთის, ისე მეორისა და მესამის გამრავლებას.

25 მაისს ბრემენში კრება ჰქონდა „სახალხო განათლების გამავრცელებელ საზოგადოებას“. 30 წელიწადია ეს საზოგადოება არსებობს და აუწერელია ის სიკეთე, რაც ამ ხნის განმავლობაში იმან გააკეთა ხალხში სწავლა-განათლების გასავრცელებლად და სინათლის მოსაფენად. საზოგადოება აარსებს ყოველ წელიწადს ასობით წიგნთ-საცავებს, ჰმართავს კულტურულ გასართობებს, ჰგზავ-

თვეს, ხოლო სოფლის სკოლებში არა ნაკლებ 7 თვისა.

⁂ სატყეო დეპარტამენ-ს დაუვალებია კავკასიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობათათვის, მიიღონ ზომები, რათა გაყვანილ იქმნას საჭირო გზები იმ ტყეებში, სადაც ამ ჟამად ხე-ტყის დამუშავებას უგზოობა ხელს უშლის.

⁂ ტფილისში არსდება სომხური „დრამატიული საზოგადოება." ამ საზოგადოების წესდების პროექტი უკვე განუხილავს საგუბერნიო მთავრობას და კავკასიის უმაღლეს მთავრობისათვის წარუდგენია დასამტკიცებლად. („ახ. მიმ.")

⁂ კვირას, 10 ივნისს, ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტში კენჭს უყრიან სახელმწიფო ხარჯით ახლად მისაღებ ქალებს. სულ ხუთი თავისუფალი ადგილია.

⁂ საქართველოს ეპარქიის სასწავლებელთა საბჭოს დადგენილებით ნავთლუხისა და კუკიის სამისიონერო სამრევლო საეკკლესიო სკოლები გაუქმებულ იქმნენ.

⁂ ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ტფილისში აზრადა აქვთ შინაურ ფრინველის მომშენებელ ამხანაგობის დაარსება. დამაარსებელთ ხუთშაბათს, 7 ივნისს, კრება ჰქონდათ ამის თაობაზედ. კრებამ აარჩია 7 კაცისაგან კომისია და მიანდო ამ კომისიას ამხანაგობის წესდების შემუშავება.

⁂ განზრახვა აქვთ ვერის სამრევლო-საეკკლესიო სკოლა დედათა სკოლად გადააკეთონ.

⁂ ერევნის ქალაქის მოურავს უკვე გადაუცია 500 მან. კავკასიის სამეურნეო გამოფენის კომიტეტისათვის.

⁂ კვირას, 10 ივნისს, ტფილისის ივერიის ღვთისმშობლის ეკკლესიის მნათეს არჩევანი მოხდება ნაძალადევის უბანში. ამასთანავე ლაპარაკი ექმნებათ ეკკლესიასა და მასთან არსებულ სამრევლო სკოლასთან საზრუნველოს დაარსების შესახებ.

⁂ 7 ივნისს ტფილისში ჩამოვიდა ბაქოდგან რუსეთის რკინის გზათა უფროსი ინსპექტორი ინჟინერი კ. ე. კეტრიცი და იმავე დღეს ყარს-ერევნის გზის დასათვალიერებლად გაემგზავრა.

⁂ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ბიუროს ზოგიერთ დაწესებულებათაგან უკვე მიუღია ექსპონატები.

⁂ როგორც „ახ. მიმ."-ს ქუთაისიდგან სწერენ, ჭიათურის სახალხო წარმოდგენათა გამმართავი კომისია აპირებს თურმე ჭიათურაში ახლად დაარსებულ სახალხო თეატრში თვეში ორ წარმოდგენის გამართვას. თითო წარმოდგენისათვის შავი ქვის მწარმოებელთა საბჭო აძლევს კომისიას 150 მან. გარდა ამისა საბჭოს დაუვალებია კომისიისათვის ჭიათურაში სახალხო კითხვათა მართვა. თითო კითხვისათვის საბჭო 20 მანეთსა ჰპირდება.

⁂ „ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების" გამგე კომიტეტს გადაუწყვეტია იზრუნოს საზოგადოებაში არსებულ ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ ფონდის გაძლიერებისათვის. ამ საქმის მოწესრიგება კომიტეტს მიუნდვია თავის წევრის გ. დ. ჟურულისათვის, რომლისთვის განსაკუთრებული ინსტრუქცია დაუდგენია და, სხვათა შორის, ნება მიუცია ფონდის გასაძლიერებელ საშუალების მოსაპოებლად დაეკითხოს სხვა და-სხვა მცოდნე კაცს. ვისაც ჰსურს დახმარება აღმოუჩინოს ამ მხრით კომიტეტს, უნდა მიჰმართოს ბ-ნ ჟურულს, ხოლო ღარიბ მოსწავლეებმა, რომელთაც დახმარება ეჭირვებათ, თვით პირდაპირ კომიტეტს უნდა მიჰმართონ, როგორც აქამდინ იყო დაწესებული. („ცნ. ფურც.")

⁂ ს. დიღმის სკოლის შენობის ასაგებად გადადებულ იქმნა 2,000 მან., რომელთაგან 500 მან. თავ. მუხრანსკის შეუწირავს.

⁂ კვირას, 10 ივნისს, დილის 11 საათზედ, ტფილისის ვერის ივერიის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში არჩევა იქნება ახალის მნათისა.

⁂ საქარის სანერგეს სურვილი განუცხადებია წარადგინოს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზედ ამერიკულ ვაზების ნერგები. ვაზების კოლექციების შესადგენად გამოფენაში სპეციალისტის გასაგზავნად სანერგე თხოულობს 400 მანეთს კრედიტს.

⁂ ტფილისის „ინგლისური" კლუბი გაუქმებულ იქმნა. კლუბს დარჩენია 3 ათასამდე მან., რომელთაგან, სხვათა შორის, 200 მან. გადაუდვიათ ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

⁂ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის ყველა დაწესებულების შემოსავალი ყოფილა 1900 წელს სულ 1,087,720 მან., ხოლო ხარჯი—515,184 მან. წმინდა მოგება დარჩენილა—572,536 მან.

⁂ ჟურნალ „მოგზაურის" რედაქცია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ თიბათვისა და მკათათვის ნომრები (6 და 7) ერთად იბეჭდება და გამოვა ამ თვის ბოლო რიცხვებში.

⁂ სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე ალექსანდრე ავალიშვილი გადაყვანილ იქმნა ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელედ.

⁂ ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტში სულ სწავლობს 225 მოსწავლე ქალი, რომელთაგან 200 მოსწავლისათვის არსებობს სასწავლებელში მუდმივი ადგილი, დანარჩენს 25 მოსწავლეს განსაკუთრებულ შემთხვევებში იღებენ. პირველ რიგის პანსიონერებს ახდევინებენ სწავლა-შენახვის ქირას 300 მან., ხოლო მეორეთ—400 მან. ასეთს სხვა-და-სხვაობას სწავლა-შენახვის ფასისას ხშირად უჩიოდნენ ხოლმე მოსწავლეთა მშობლები, ამის გამო ინსტიტუტის საბჭოს შუამდგომლობის თანახმად უმაღლესად ნება დართულ იქმნა ყველა პანსიონერზედ ერთ და იგივე სწავლა-შენახვის ფასის დაწესებისა 320 მან. წელიწადში. ეს ახლად დაწესებული ქირა გარდახდებათ იმ მოსწავლეთ, რომელნიც 1901—1902 სამოსწავლო წლიდგან იქმნებიან ინსტიტუტში მიღებულნი.

წერილი ჯავახეთიდგან

(დასასრული*)

აი, სამკითხველოს ისტორიასაც აქვე მოგახსენებთ: 1896 წელს, დვინობისთვეში, სამკითხველო ვალით ნასყიდ საკუთარს სახლში გაიხსნა (ვგონებ, ვალი ახლაც გადაუხდელია) იმ დროის მაზრის უფროსის, აწ განსვენებულის თავ. გრიგოლ ალექსანდრეს ძის თარხან-მოურავის თავმჯდომარეობითა და პროვიზორის ილია ალხაზიშვილის ხაზინადრობით. პირველად წევრები ბლომად ჰყავდა, 1898 წლამდის თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთები მოსდიოდა (ახლა-კი აღარ მოსდის), ჰქონდა მრავალი ქართულ-სომხურ-რუსული წიგნები (ეხლაცა აქვს, მაგრამ შკაფებშია გამომწყვდეული); თავ. თარხნიშვილი და ბ. ალხაზიშვილი არავითარს შრომასა და ღონისძიებას არა ჰზოგავდნენ და სცდილობდნენ, რომ სამკითხველო სასურველს სიადგზედ მდგარიყო და გიდევაც ახერხებდნენ, მაგრამ 1898 წელს ბ-ნი ალხაზიშვილი ქ. ტფილისში გადასახლდა, ხოლო თავ. თარხნიშვილი იმავე წელს 2 ოქტომბერს გარდაიცვალა და იმის შემდეგ სამკითხველოს საქმეც მიწუმდა, რადგანაც შემდგომ მაზრის უფროსებს აღარავითარი ყურადღება აღარ მიუქცევიათ და არც სხვა ვინმე ჰყოლია ისრე გულ-შემატკივარი. ამ რიგად, სამკითხველო თარხნიშვილის სიკვდილსა და ბ-ნის ალხაზიშვილის გადასვლას თან გადჰყვა თითქოს, მაგრამ მისი დასუსტების ზოგიერთი ნიშნები ადრევე თავს იჩენდნენ. ბევრი წევრი და თანამგრძნობი მიეფანტ-მოეფანტა, არია სამკითხველოს საქმე, თანდათან უკან დაიწია და ამ მდგომარეობაში ჩავარდა, რომელიც მე ზევით აგიწერეთ. ეხლა მთელი მისი ავლა-დიდება მასწავლებლის მაქედაძის ხელშია, იგი მუდამ იმასა სცდილობს, რომ სამკითხველო დაკეტვისაგან როგორმე იხსნას, მაგრამ ვინა ჰყავს თანამგრძნობი? ერთი კაცი-კი, მოგეხსენებათ, ვერას გახდება, რადგანაც ანდაზა „Одинъ въ полѣ не воинъ" სრული ჭეშმარიტებაა და ბევრს არ გაუღიმებს ხოლმე ბედი გამარჯვებისა ამ პირობებში.

ახლა სამაზრო ქალაქზედ გადავიდეთ. ახალქალაქი წარმოადგენს ერთს პატარა ქალაქს, ანუ მოზრდილს კახურს სოფელს და მდებარეობს მაღლობს, მოტიტვლებულს ადგილზედ. ვიდრე კაცი შიგ შუა ქალაქში არ შევა და სამხრეთისაკენ არ გაიხედავს (აქეთ მრავალი ორ-სამ-სართულიანი ყაზარმებია), ვერ წარმოიდგენს, თუ ის ქალაქშია. მეტადრე არაფრით არ გაირჩევა ჯავახურის სოფლიდგან ჩრდილოეთის ნაწილი ქალაქისა: იგივე წივა, იგივე სახლები, იგივე საკიდები და ისეთივე დაგლეჯილ-დაფლეთილი მცხოვრებნი, რომლებსაც აქაურები ბოშებს ეძახიან. რაც შეეხება ეგრედ წოდებულს „შტაბს" (ყაზარმები), იმას-კი შეუძლიან ბევრს კარგს შენობას გაუწიოს მეტოქეობა. ქალაქში არსებობს ყველა სამაზრო დაწესებულება, აქვს ოთხ-კლასიანი სამოქალაქო სკოლა დამატებითი სახელოსნო კლასებით და ფერმით, სამინისტრო და სა-

ნის „მოსიარულე რეფერენტებს" თვით მიყრუებულ დაბებსა და სოფლებში. საზოგადოება გულმოდგინედ სცდილობს იმ უთვალავ აღმზრდელ და განმანათლებელ ფერეინების გაერთიანებას, რომლებითაც მთელი გერმანია მოფენილია. 3,425 წევრს გარდა საზოგადოებას ეკუთვნის 2,000 კორპორაცია, 39 ქალაქის საბჭო, 42 საეკკლესიო მრევლი, 40 მასონთა ლოჟა. მარტო ოთხის წლის განმავლობაში (1897—1901 წლ.) საზოგადოებამ დაარსა 1,271 ახალი წიგნთ-საცავი, გააფართოვა 667 წინად არსებული და 122,000 მარკა*) დახარჯა 93,000 წიგნის შესაძენად. ნაყიდ წიგნებს გარდა საზოგადოებას ბევრ სხვა წიგნებსაცა სწირავენ. „სახალხო განათლების გამავრცელებელ საზოგადოების" თანხა დღეს ნახევარ მილიონ მარკას უდრის თურმე. საზოგადოების წევრებად ითვლებიან, სხვათა შორის, გერმანიის იმპერატორი და სახალხო განათლების მინისტრი. პირველს ყოველ წელიწადს 3000 მარკა შეაქვს, სამინისტრომ კიდევ მიმდინარე წელს საზოგადოების სასარგებლოდ 20,000 მარკა გადასდო.

საყურადღებო მოხსენება წაუკითხნია კრებაზედ ერნსტ შულცეს: „რის დაარსება უფრო სასურველია, საჯარო წიგნთ-საცავისა, საიდგანაც წიგნების წაღება შეიძლება სახლში, თუ საჯარო სამკითხველოსი?" შულცეს აზრით დიდ ქალაქებში ბევრად უმჯობესია სამკითხველოების დაარსება. სადგომის სიმცირისა და სივიწროვის გამო მუშა-კაცი სამკითხველოში რჩეობს დარჩენას, ვიდრე შინ წიგნის წაღებას წასაკითხავად. საჭიროა ამიტომ სამკითხველოს მშვენიერად და კოხტად მოწყობა; ამასთან სამკითხველო კვირა-უქმეებშიაც ღია უნდა იყოს, რადგანაც ამ დღეებში მუშა ხალხი თავისუფალია და, როგორც სტატისტიკიდგან სჩანს, უფრო ეტანება სამკითხველოს. სოფელში-კი, შულცეს აზრით, წიგნთ-საცავების დაარსება სჯობია, რადგანაც სოფლელი სახლში, სადაც თავისუფალ კუნჭულს ყოველთვის მოსძებნის, უფრო გულდასმით წაიკითხავს წიგნს, ვიდრე წიგნთ-საცავშიო. გამოითქვა კრებაზედ ის აზრიც, რომ წიგნთ-საცავებსა და სამკითხველოებში ყოველგვარ მიმართულების წიგნი და ჟურნალ-გაზეთი იქონიონ.

არა ნაკლებ საყურადღებო რეფერატი წაუკითხნია მაგდებურგის ქალაქის საბჭოს წევრს ზომბარტს დამატებითი სკოლების შესახებ. ზომბარტს უთქვამს: „ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებას უნდა უმადლოდეთ, რომ ჩვენში ეგრე განვითარდა და გაძლიერდა ვაჭრობა-მრეწველობაო; მაგრამ რათა შემდეგშიაც არ ჩამოვრჩეთ სხვა ერებს და წინმსვლელობის საქმეში არ შევფერხდეთ, საჭიროა საყოველთაო საპროფესიონალო და სატეხნიკო განათლება. ასეთი განათლება ხალხმა დამატებით სკოლებში უნდა მიიღოსო. დამატებითი სკოლები უკვე არსებობს ბერლინსა, საქსონიასა, ვიურტემბურგსა და სხვაგან. ასწავლიან იქ სპეციალურ საგნების, როგორც, მაგალითად, ელექტრო-ტეხნიკისა, ბუჰგალტერიისა და სხვ. გარდა, ახალ ენებსაც, ლიტერატურის ისტორიას, ფიზიკასა, ქიმიას. ამ სკოლებში სიარული საქსონიასა და ვიურტემბურგში სავალდებულოა ყველა ვაჟისათვის 14-დგან 18 წლამდე. ზომბარტი თხოულობდა, ამგვარ სკოლებში სიარული სხვაგანაც სავალდებულო გახადონ. კრებამ კომისიას მიანდო, როგორც ამ, ისე სხვა საყურადღებო საგნების განხილვა და გამოკვლევა.

⁂

ასევე ზრუნავს თვით საზოგადოება სწავლა-განათლებისათვის შვეიცარიაშიაც. პირველ დაწყებითი სახალხო განათლება იქაც სავალდებულოა ბავშვებისათვის. სხვა ქვეყანასთან შედარებით შვეიცარიაში ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ მასწავლებელს. კარგ მასწავლებელს ისე არსად არ ეძებენ, როგორც იქ, და სხვაგან ვერც შეხვდებით შვეიცარიელებისთანა სამაგალითო პედაგოგებს. ამ უპირატესობის მიზეზი ორია. პირველი ისა, რომ კანდიდატისაგან ძალიან ბევრსა თხოულობენ; კანდიდატს მასწავლებლად მხოლოდ მაშინ ჰნიშნავენ, როდესაც იმის ნიჭსა და ცოდნას საკმაოდ გამოსცდიან. მეორე ისა, რომ მასწავლებლის შრომა კარგად ჯილდოვდება. ამას გარდა შვეიცარიაში მასწავლებელი, რომელსაც პირდაპირ ხალხი ირჩევს, უფროსთაგან დამოუკიდებელია, რის გამოც იმის მოქმედების ასპარეზი შეზღუდული არ არის.

თუ რამდენად უზრუნველ ყოფილია ქონებრივად სახალხო სკოლის მასწავლებელი შვეიცარიაში, შემდეგიდგანა სჩანს. პირველ-დაწყებით სკოლის მასწავლებელს ეძლევა 760-დგან (ღარიბს სოფელში) 1000 მანეთამდე (მდიდარ სოფელსა და ქალაქში). ეს ჯამაგირი მასწავლებელს პირველ ხანს ეძლევა; ყოველ ხუთს წელიწადს სასყიდელი ემატება, ასე რომ შეძლებულ სოფელსა და ქალაქში იგი 1400 მანეთამდე ადის.

ასეთ სასყიდელს ადვილად ისტუმრებს შვეიცარის სოფელი ან ქალაქი, რადგანაც საკუთარ ფულის გარდა შემოწირულებაც მდიდართაგან უხვად მოსდის. საზოგადოდ, ევროპაში სწავლა-განათლების ხარჯთაღრიცხვაში კერძო შემოწირულებას დიდი ადგილი უჭირავს. ბევრგან კერძო შემოწირულებით მთელი უნივერსიტეტები არსდება. ამას წინად ამერიკელმა მილიონერმა კარნეჯიმ თავის ძველ სამშობლოს—შოტლანდიის უნივერსიტეტებს 20 მილიონი მანეთი შესწირა. ამ უხვ შეწირულების წყალობით შოტლანდიის უნივერსიტეტებში (ოთხია სულ) სწავლა ამიერიდგან უსასყიდლო იქნება, სტუდენტებს, აღარც მდიდრებსა და აღარც ღარიბებს, სწავლის ფასი აღარ გამოერთმევათ.

ამ შემოწირულებას უმრავლესობა, რასაკვირველია, აღტაცებით მიეგება, მაგრამ აღმოჩნდნენ შოტლანდიაში ისეთნიც, (უმთავრესად თავისუფალ პროფესიის ხალხი—მკურნალები, ვექილები), და სხ., რომელთაც არაფრად ეჭაშნიკად იგი.

სასყიდლის გაუქმება უნივერსიტეტში სწავლას გააადვილებსო, ამბობენ ისინი; უნივერსიტეტში შესვლა აღარავის გაუჭირდება, გაამრავლებს სწავლა-დამთავრებულთა რიცხვს, ე. ი. გამრავლდებიან ვექილები, მკურნალები, მასწავლებელნი, გაიმართება მათ შორის მეტოქობა და გაძნელდება ცხოვრებაო.

რამდენადმე ამ სამდურავს საფუძველი აქვს. დასავლეთ ევროპაში ისე გამრავლდა თავისუფალ პროფესიის მიმდევართა რიცხვი, რომ ბევრს მათგანს სამუშაო ველარ უშოვნია. ამ რამდენისამე წლის წინად ბუდაპეშტში ერთის საავადმყოფოს კასსამ გამოაცხადა, რომ მკურნალებს ავადმყოფის თითო გასინჯვაში ხუთხუთ შაურს მივცემთო. როგორც ჰხედავთ, სასყიდელი მეტად მცირეა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად

---

*) იხ. „ივერია" № 122.

*) მარკა—50 კაპეიკა.

მრევლო სკოლა და ერთიც კერძო სკოლა; აქვს აგრეთვე სამკითხველო, სადაც რუსულ-სომხური ჟურნალ-გაზეთები მოსდით და დიდი ხანია, გორელებისა არ იყოს, სცდილობენ ერთი საავადმყოფო დაარსონ, მაგრამ გორელებსავით სურვილი სურვილადა რჩებათ და საავადმყოფო-კი დღემდის არსად არის. დედათა სკოლაზედ-კი ცოტა უკაცრავად ვახლავან. გარდა ამისა, ქალაქშივე მუდმივი ბინადრობა აქვთ შემდგომს ჯარებს: 78 ნავაგის რაზმს, 2, 4, 5 და 6 ყაზახთა ბატარეიებს, მე-20 არტილერიის პარკს და ადგილობრივს „კამანდას“ (ეს უკანასკნელი ახალქალაქის ციხეშია დაბანაკებული). მთლად ქალაქში 825 კომლი მცხოვრებია, რომელთაგანაც 8 კომლი ქართველია (6 დროებითი მცხოვრებია), 2—რუსი, 6 ბერძენი (3 დროებითი მცხოვრები), დანარჩენი 793 სომეხი და ებრაელიც—16 კომლი. სულ მთლად კი—5,443 სულია ორისავე სქესისა, ამათგან მამრობითი სქესისა—3,229 სული დ მდედრობითისა—2,214.

ზემოდ მოხსენებული დამატებითი სახელოსნო კლასები საკუთარს სახლში იმყოფება, რომელიც 1897 წელს აშენდა და დაჯდა 80,000 მან. მეტი, რომლიდგანაც ზოგი თუ ხაზინისა იყო, ბევრი საწყალი გლეხის მიერ კაი გაგლახით ნაშოვნი გროში ერია. ან როგორ არ დაეხარჯნა გლეხს, როდესაც პირდებოდნენ: აი, გაგიხსნით სახელოსნო სკოლასა და ფერმას, თქვენს შვილებს პანსიონში მივიღებთ და ვასწავლით (სკოლის სასარგებლოდ ყოველ-წლივ მაზრა კომლზედ 40 კაპ. იხდის). აშენეს სახლი, გახსნეს სკოლა, ფერმა, ხაზინისგანაც 217 დესეტინა სათიბი მიიზომეს სოფ. ხუშრისში. ამ ჟამად ფერმას 40 მეტი კარგის ჯიშის ძროხა ჰყავს, ჰყავს მცოდნე კაცი, რომელიც კარგის თვისების ყველსა და ერბოს აკეთებს; მაგრამ ვინ?—ოსტატი და მოჯამაგირეები. ამ ყველსა და ერბოს, რასაკვირველია, ჰყიდიან და თივაც თავიანთი მოსდით, მაგრამ წლის ბოლომდის თავისის შემოსავლით ფერმა ხარჯს ძლივს ჰფარავს. დამატებითი კლასებისათვის ქალაქიდგან სახნავი მიწები მიიზომეს, გახსნეს სადურგლო, მოიწვიეს 1898 წ. გამოცდილი დურგალი, მიიღეს პანსიონში 14 შეგირდი და დანიშნეს ზედამხედველად გამოცდილი აგრონომი, ავადმყოფი კური დამთავრებული და ერთიც მეთვალყურე, იგივე მასწავლებელი საგნებისა, მაგრამ რა? ახალმა ცოცხმა პირველად კარგად დაგავა, მაგრამ ერთის წლის შემდეგ მე ნასტერი მთლად აირია. გადაიყვანეს აგრონომი და დანიშნეს იმის ადგილას ერთი ავადმყოფი, ჩლექიანი, რომელსაც სიარულიც კი არ შეეძლო; ესაც მალე გადაიყვანეს და იმის ადგილას დანიშნეს ახლა ვინმე რატუშენკო (არ ვიცი, ჰქონდა რამე სამეურნეო ცოდნა მიღებული, თუ არა). ეს მხოლოდ იმის ფიქრში იყო, 20 მალე მოსულიყო და 80 მან. ჯამაგირი აეღო (ამას, ცოტა არ იყოს, უკვირდა კიდეც, რომ ამდენს ჯამაგირს იღებდა). მაგრამ ისაც მალე გადაიყვანეს და დარჩა მხოლოდ მეთვალყურე მასწავლებელი და, მაგრამ საქმეს სიკეთე არავინ არ დაატყო. ბევრჯელ მივსულვარ სკოლაში, დილის 10—11 საათზედ, მაგრამ მოწაფეები ზოგი ალთას ყოფილან და ზოგიც ბალთასა. ამ გარემოებას მშობლებმა ყურადღება მიაქციეს და თავიანთი შვილები სკოლიდგან გამოიყვანეს. 1899 წლ. 1901 წლის იანვრამდის სკოლაში მხოლოდ 3 მოსწავლე-და იყო; იანვარში 5 მიემატა, გახდა 8, მაგრამ არა მგონია ესენიც დიდხანს დარჩნენ სკოლაში, თუ რომ სკოლის საქმე არ გაუმჯობესდა! ყველაზედ სამწუხარო-კი ის არის, რომ სამოქალაქო სასწავლებელში, სადაც 15-დე ქართველი ბავშვი სწავლობს, ქართულს ენას არ ასწავლიან. კარგი იქნება ამ გარემოებას ამავე სკოლის სამღრთო სჯულის მასწავლებელმა პატივცემულმა მ. იოსებ ჩიტაძემ ყურადღება მიაქციოს და ითხოვოს სკოლის მთავრობისაგან, რომ ქართულის ენისათვის კვირაში თითო გაკვეთილი მაინც დაუნიშნონ.

როგორც იყო გვედირსა ბოლოს მტკვარზედ სოფ. ხერთვისში დროებითი ხიდი. მაგრამ უბედურება ის არის, რომ კაცი უშიშრად ვერ გავა ცხენით.

22 მაისამდის აქეთ კარგი დარი იდგა, მაგრამ ამ დღეს შუადღისას ჯავახეთის საზღვარზედ, სოფ. ტოლოშში მოვიდა დიდი სეტყვა (თითქმის მტრედის კვერცხზედ მოზრდილი, ერთი აგწონეთ და 4½ მისხალი გამოვიდა), რომელმაც 17 წამი გასტანა და სოფლის დასავლეთით მდებარე ბოსტნები მთლად წარეკვა. 22 მაისს აქეთ ყოველ დღე სწვიმს. მართალია, ხილი წრეულს ძლიერ მოსცდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ჭეჭილებს კარგი პირი უჩანს.

გ. შატბერაშვილი

უცხოეთი

ოსმალეთი. როგორც ამ წინაზედ ჩვენი საკუთარი კორრესპონდენტი იუწყებოდა კონსტანტინეპოლიდგან, გამართლდა მართლაც ყველას მოლოდინი და მსოფლიო პატრიარქათ არჩეულ იქმნა იოაკიმე III. ახლად არჩეულს პატრიარქს მაშინვე 1,000 მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს წმ. ათონის მთაზედ და მასთან ცალკე გემიც, რომელმაც პატრიარქი უნდა წაიყვანოსო, სწერს „Moniteur Oriental“-ი.

პატრიარქის შესახებ მოთავსებულს ბიოგრაფიულს ცნობებში გაზეთი შეჰნიშნავს, რომ მოციქულის ანდრია პირველ წოდებულის შემდეგ, რომელმაც პირველი მართლ-მადიდებელთა ეკკლესია დააარსა მე-36 წელსვე ქრისტეს დაბადებიდგან, არგიროპოლისათ წოდებულს ფუნდუკლიარში, იოაკიმე III მე-254 მსოფლიო პატრიარქია. პატრიარქი კონსტანტინეპოლის მახლობლად დაიბადა ბოხაჟიკიოში 1834 წ. და სახელათ ქრისტეფორე დაარქვეს. სასულიერო იერარქიაში მსოფლიო პატრიარქის იოაკიმე II მფარველობის წყალობით გაითქვა სახელი და განსვენებულის გარდაცვალების შემდეგ 1878 წელს ერთხმად პატრიარქად იქმნა არჩეული; იოაკიმე III პატრიარქად 1883 წლამდე დარჩა და ამ ხნის განმავლობაში დიდი ადმინისტრატიული ნიჭი და ერთგულება გამოიჩინა განათლების გავრცელების საქმეში. მოიწვია მაშინვე საზოგადო კრება და შეიმუშავა ახალი წესები ეკკლესიის მართვა-გამგეობისა; გარდა ამისა დააარსა საპატრიარქო ჟურნალი „ეკლეზიასტიკა ალითია“, ოსმალეთის ევროპაში მრავალს ადგილას დახსნა სკოლები, დააარსა უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი ფანარში, ბოსნიისა და გერცოგოვინის სადავო საგნები გაარიგა და ყველას მაგალითს უჩვენებდა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი, მართლ-მოყვარე, მშრომელი და სასტიკის ზნეობის მწყემსთ-მთავარი. თვისით შეისწავლა ნემეცური ენა და საზოგადოდ დიდის გონების პატრონი ადამიანის სახელი გაითქვა. გარდა ამისა, იოაკიმე როგორც მქადაგებელი, დიდად მჭევრმეტყველი და მომხიბვლელად მოსიყვარულე ადამიანია, ასე რომ უცხოელებზედ ერთობ კარგს შთაბეჭდილებას ახდენს და სიყვარულით და პატივით ეპყრობა რუსეთს, როგორც აღმოსავლეთ მართლ-მადიდებელ ეკკლესიის მუდმივსა და ერთგულს მფარველსა.

სასამართლოს მატიანე

1899 წლის ნოემბერში ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ მცხეთასა და ქსანს შუა შესდგომიან აქა-იქ გზის შეკეთებას; 17 ნოემბერს რკინის გზის მე-262 ვერსზედ გზის ხელოსნის კონსტანტინე სახურიას მეთაურობით მუშებს ძველის ხიდზედ აუღიათ რელსები, რომ ქვეშ გადებული დამპალი ხეები გამოეცვალათ; მუშაობას შესდგომიან შუადღისას და იმ დროს, როდესაც ჯერ დასრულებული არა ჰქონდათ, მცხეთიდგან მომავალი სამხედრო მატარებელი მოსხლტებულა თურმე, რომლის 7 ვაგონშიაც ჯარში ახლად გაწვეული 190 კაცი მჯდარა; ხოლო დანარჩენი ვაგონები, 37-მდე, გატენილი ყოფილა სხვა-და-სხვა ბარგით. როგორც-კი გაქანებული მატარებელი შემდგარა ხიდზედ, ორთქლ-მავალს ჩაუმტვრევია ხიდი და შიგ მტკვარში გადავარდნილა, 13 საქონლით დატვირთული ვაგონი დამსხვრეულა, ხოლო დანარჩენი ვაგონები ჯარის-კაცებით უვნებლად გადარჩენილან; ორთქლმავალთან ერთად წყალში გადაცვივნულან მემანქანე ეგები გადუბენკო და მისი თანაშემწე რუჟიცი, რომელნიც მკვდარნი გამოუტანიათ წყლიდგან; ამ უბედურების დროს დასახიჩრებულა გზის დარაჯი, გორის მაზრის მცხოვრები პავლე იაძე, რომელსაც ხე დასცემია. საქმის გამოძიება ამ უბედურების მიზეზად ასახელებს რკინის გზის ხელოსანს, ოზურგეთის მაზრის მცხოვრებს კონსტანტინე გრიგოლის ძეს სახურიას, მცხეთის სადგურის უფროსის თანაშემწეს, გორის მაზრის მცხოვრებს აზნაურს თქროშირ ივანეს ძეს ჯავახიშვილს და რკინის გზის მე-6 ნაწილის უფროსის თანაშემწეს, ინჟენერ-მექანიკოს თევდორე ნაგელს, რომელთაგან სახურიას ის დანაშაულობა ბრალდებოდა, რომ როდესაც ხიდის კეთებას შეუდგა, დარაჯები არ დააყენა ბაირაღებით მატარებლების გასაფრთხილებლად და შესაჩერებლად, და აგრეთვე, ინსტრუქციის თანახმად, რადგანაც თოვლიანი და ჩამობნელებული დღე ყოფილა, წითელი ფარანი არ დადგა; ნაგელს ის, რომ როგორც უფროსს და მუშაობის ხელმძღვანელს,

---

ბევრმა მკურნალმა მოინდომა კასსასთან პირობით შეკვრა. ბერლინელ მკურნალთა ნახევარი 70—75 მანეთს ძლივს იღებს თურმე თვეში. ვენელი მკურნალნი 12 კაპეიკს სჯერდებიან თითო „ვიზიტში“. ანრი ბერანჟე ერთ თავისს წერილში („ინტელიგენტი პროლეტარიატი საფრანგეთში“) ამბობს: „პარიჟის მკურნალთა ნახევარი ისეთ მდგომარეობაშია, რომ უსაწყლო ცხოვრებას ვერ ახერხებს. უმრავლესობა ნამდვილ სიღარიბესა და გაჭირვებაშია, ისეთ გაჭირვებაში, რომ ამ პროფესიის წარმომადგენელთ ხშირად ღამის გათევა თავ-შესაფარებშიაც-კი უხდებათ“.

* * *

დღეს თავშესაფარში მარტო გაჭირვებულ მკურნალთ არ უხდებათ ღამის გათევა. შეჰხვდებით იქ ბრწყინვალე შთამომავლობის თავადებსა და გრაფებსაც, გუშინ მილიონების პატრონს, დღეს-კი გაკოტრებულ ბურჟუასაც, გუშინ გავლენიან, პოლიტიკაში ხმა-რიხიან დიპლომატს, დღეს-კი ყველასაგან მივიწყებულ მაწანწალას. გასაოცარ სიმდიდრესთან ერთად დიდ ქალაქებში არა ნაკლებ გასაოცარ სიღარიბესა და სიღატაკესაც მოუკალათებია. ისეთი ქალაქები, როგორიც ლონდონი, პარიჟი და ვენაა, სავსეა უსახლ-კარო, უბინაო ხალხით.

ლონდონში, მაგალითად, როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, ყოველ ღამე, ზამთრის სუსხიან ღამესაც-კი, ქუჩებში ათიდგან თხუთმეტ ათასამდე კაცი ათევს. ზაფხულში ეს რიცხვი ხშირად 30 ათასამდე ადის. ამას წინად ლონდონში განუზრახავთ ქუჩის უბინა-ადგილო მაწანწალათა აღწერა, მათი გამოკითხვა და ამ რიგად იმათის ცხოვრების, ყოფა-მდგომარეობის გაგება. აღწერა უნდა მოეხდინათ კვირა ღამეს. პოლიციელებმა ბრძანება მიიღეს, შუაღამისას დაიარონ ის ადგილები, კუნჭულები და ქუჩები, სადაც ჩვეულებრივ მაწანწალანი ათევენ ღამეს. ამასთან პოლიციელნი კარგად და ზრდილობიანად უნდა მოჰქცეოდნენ მაწანწალათ და დაყვავებით უნდა გამოეკითხნათ ყოველივე. მაგრამ ამ ინსტრუქციამ მიზანს ვერ მიაღწია. მდინარე ტემზის სანაპირო ქუჩები, იქ გამართული სკამები და ბაღები ყოველთვის სავსეა ხოლმე ამ მოწანწალებით და ზაფხულში პოლიციას, უეცარ თავ-დასხმის დროს, ამ ადგილებში არა ერთი და ორი ათასი მაწანწალა უნახავს. მაგრამ სწორედ იმ ღამეს, რა ღამესაც აღწერა იყო განზრახული, პოლიციას ველარც ერთი მაწანწალა ველარ უნახავს ბაღებსა და ქუჩებში. სად წავიდნენ მაწანწალნი, სად გაათევეს ის ერთი ღამე, დღესაც ვერ გაუგია ლონდონის პოლიციას.

დღეს ეს მაწანწალანი სასმელების დუქნებსა, იაფ-ფასიან ყავა-ხანებსა და „კაბაკებში“ ატარებენ. როგორც ყველა სხვა დიდი ქალაქი, ლონდონიც სავსეა ამ „დაწესებულებებით“. სხვა ქალაქებისაგან ამ შემთხვევაში ლონდონი იმით გაირჩევა მხოლოდ, რომ იქ „კაბაკები“ ბრწყინვალე ჰერცოგებს, მარკიზებს და ლორდებსაცა აქვთ თურმე. ამას წინად პალატაში წინადადება შეუტანიათ იმის შესახებ, რომ ლორდთა პალატის იმ კეთილშობილ წევრთა სია შეედგინათ, რომელთაც ლონდონში სავაჭრო დაწესებულებანი აქვთ. სია ლორდთა უნებურად შეადგინეს, და ერთ მშვენიერ დღეს მთელმა ინგლისმა გაიგო, რომ იმის პრემიერსა და სახელმწიფო მოღვაწეს მარკიზ სალისბიურის მთელი თერთმეტი „კაბაკი“ ქონია ლონდონში, ჰერცოგ დევონშირს—47, ხოლო ჰერცოგ დერბის—72.., არც დანარჩენი ბრწყინვალე ლორდები ჩამორჩენიან ამ დიდებულთ: 30-დგან 40 „კაბაკამდე“ ყველა მათგანსა ჰქონია.

საკვირველი არ არის ამის შემდეგ, რომ ინგლისში ისე ძლიერაა გავრცელებული ლოთობა: ეჭვი არ არის. ყველა ინგლისელისათვის სასახელო იქნება მარკიზ სალისბიურის დუქანში შესვლა და ერთი ლაზათიანად დათრობა. ამ საქმეს იქ არც მანდილოსანნი თაკილობენ, უთუოდ, სალისბიურის პატივსაცემადვე; ამიტომ ბრიტანიის პრემიერს, ეჭვი არ არის, ძალიან ეწყინებოდა ზოგიერთ ლონდონელთა განზრახვა—ლოთ მანდილოსანთა წინაამდეგ მებრძოლ საზოგადოების დაარსება.

ამას წინად ლონდონში დიდი მიტინგი გამართავთ იმ მოქალაქეთ, რომელთა ცოლებიც ხშირად ეტანებიან დუქნებს და იქ მაგარის სასმელების შემწეობით თავიანთ პატივისცემას უცხადებენ ყოვლად ძლიერს ბახუსს. კრებას ერთხმად დაუდგენია დააარსონ საზოგადოება ქმართა დასაცველად ლოთ ცოლებისაგან. ეს გადაწყვეტილება დამაარსებელთ უკვე უცნობებიათ მინისტრ-პრეზიდენტისა, შინაგან საქმეთა მინისტრისა და პარლამენტის წევრებისათვის. ჯერ არავინ უწყის, რა ღონეს მიჰმართავს მომავალი საზოგადოება—კანონმდებლობას თუ სხვა რამ საშუალებას, ეს-კია რომ ცოლთა ლოთობისაგან ტანჯულ-წამებული ქმრები ეხლავე იმედითა და სიხარულით აღვსილან თურმე.

* * *

ურიგო არ იქმნება დაარსდეს დედ-მამის ძალ-მომრეობისაგან შვილების დამცველი საზოგადოებაც. ყველამ კარგად უწყის, ხშირად რა უსამართლოდ და უდანაშაულოდ სტანჯავს, აწვალებს და მწარე ცხოვრებას ატარებინებს დედ-მამა შვილებს. ხოლო ისეთი ტანჯვა, როგორიც პუატიეში (საფრანგეთშია) ერთ დედას ღვიძლ ქალისათვის მიუყენებია, ვგონებ, ისტორიას არ უნდა ახსოვდეს.

მთელი საფრანგეთი და იმასთან ერთად მთელი ქვეყანა აალაპარაკა ამ შემაძრწუნებელმა და შემზარავმა ამბავმა: დედას ღვიძლი ქალი მთელი ოცდა ხუთი წელიწადი ბნელ, ჭუჭყიან და ბინძურ ოთახში ჰყოლია დამწყვდეული. მთელი ოცდა ხუთი წელიწადი, დედის გულქვაობის მეოხეობით, ამ ქალს მზის სხივი არ უნახავს, ტანისამოსი არ გამოუცვლია და სალი ჰაერი არ ჩაუყლაპავს.

ეს ქალი ბლანშ მონიეა. იმისი დედა, 75 წლის მოხუცი, პროფესორის ქვრივი, მთელ ქალაქში ცნობილი იყო სიმდიდრით, პატიოსანის ცხოვრებით და სიქველით. ქ-ნი მონიე არისტოკრატიულ გვარის შთამომავალი იყო, იმის ოჯახს დღესაც დიდძალი მამულები აქვს პუატიეში. მონიეები მდიდრულად და დიდკაცურად სცხოვრობდნენ. ქ-ნ მონიეს სულ ქალ-ვაჟი ჰყავნდა. ვაჟი წინად სამოქალაქო სამსახურში იყო და კარგი თანამდებობაც ეჭირა, მაგრამ შემდეგ სამსახურს თავი მიანება, ცოლი შეირთო და თავისუფალი დრო ბერებისა და კლერიკალების სასარგებლოდ აგიტაციას შესწირა. ბლანშ მონიე დედასთან სცხოვრობდა, მეზობლებს დღესაც

ჯეროვნად თვალ-ყური არ უდევნებია მუშაობის დროს მატარებლების გამაფრთხილებელ ნიშნების დადგმისა და დარაჯების დაყენებისათვის, ო. ჯავახიშვილს, რომ მან მცხეთიდგან მიმავალ მატარებლის № 21 მემანქანეს მისცა ისეთი ქაღალდი, რომელიც შინაარსით არ ეთანხმებოდა თურმე ძეგვის ხიდის გვეთების შესახებ ნაგელისაგან მიღებულ დეპეშას. ბრალდებულს სახურიას უბედურების მიზეზად დაუსახელებია თვით მატარებლის მემანქანე გალუბენკო, რომელსაც ვერ უსარგებლნია დარაჯების ნაჩვენებ ნიშნებით; ეს საქმე მოწმეების გეჯაძეს და თამურაშვილის შეუმოწმებიათ, მაგრამ სხვა მოწმეებს (მაგ., ჯარის-კაცებს) და ერთს კონდუქტორს პლოტნიკოვს განუცხადებიათ, რომ ჩვენ დარაჯი ძეგვის ხიდს ახლო არ გვინახავსო.

ეს საქმე 7 და 8 ივნისს განიხილა ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის მეორე განყოფილებამ, სადაც დაბარებული იყო 40 მოწმემდე. 7 ივნისს სასამართლო მარტო მოწმეების ჩვენების ჩამორთმევას მოუნდა; მეორე დღეს სასამართლოს სხდომა დაიწყო დილის 10 საათიდგან და გაგრძელდა საქმის გამოძიება ნაშუადღევის 2 საათამდე; ეკითხათ 6 სპეციალისტ-ექსპერტს საქმის გარემოების შესახებ, რომელთაც განმარტეს, რომ ნამდვილი მიზეზი უბედურებისა ლიანდაგიდგან რელსის აღებაა და მატარებელს, როგორც გაფრთხილებული იყო მემანქანე, საათში რომ 15 ვერსტზე მეტი არ ევლო, შეიძლებოდა დროზედ მისი შეჩერება, ასე რომ უბედურება არ მოხდებოდა. ბრალდებულთაგან კონსტანტინე სახურიამ და თეოდორე ნაგელმა განაცხადეს, რომ ამ უბედურების მიზეზი თვით მემანქანე, ევგენი გალუბენკო, იყოო, რადგანაც მან ვერ ისარგებლა ჩვენგან მიღებულ ზომებითაო, და ამიტომ ითხოვეს სამთავემ გამართლება.

ოლქის სასამართლომ ნაშუადღევის 3 საათზედ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იქმნა ცნობილი სამივე ბრალდებული, და გარდაუწყვეტათ კონსტანტინე სახურიას 1 წლითა და 4 თვით, თეოდორე ნაგელს—8 თვით, ხოლო ოქროპირ ჯავახიშვილს—2 თვით საპყრობილეში დაპატიმრება. ბრალდებულთ განაჩენის პირი მოითხოვეს და განაცხადეს სურვილი სასამართლოს განაჩენის პალატაში განსაჩივრებისა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

7 ივნისი.

ალექსანდრია. ეგვიპტის სხვა-და-სხვა ნავთსადგურში შავი ჭირი ვრცელდება, განსაკუთრებით ზაგაზიგში, სადაც ივნისის განმავლობაში 48 კაცი გახდა ავად. ამ სენთან საბრძოლველად დიდი ფული იქმნა გადადებული.

მოსკოვი. სამეფო ოჯახში სამხიარულო მოვლენისა გამო ქალაქის საბჭომ დაადგინა: დააარსოს მოსკოვში ორი დედათა ხელ-საქმის სკოლა ქალაქის სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულ ქალებისათვის და აპატიოს ღარიბ მცხოვრებთ 15 ათასი მან. დარჩენილი საავადმყოფოთა გარდასახადი.

ეკატერინოსლავი. 6 ივნისს, საღამოს, ჩამოვიდა გზათა მინისტრი და მეორე დღესვე ალექსანდროვსკში წავიდა.

პეტერბურგი. 7 ივნისს დილით ბალტიის რკინის გზაზედ კრასნოე-სელოსა და ლიგოვს შორის მგზავრთა მატარებელი № 6, რეველიდგან მიმავალი, დაეჯახა საქონლის მატარებელს. ბევრია დაშავებული; მკვდარი არავინაა.

ტამბოვიდგან, ვიატკიდგან, ყაზანიდგან და პოლტავიდგან მიღებულია დეპეშები სამეფო ოჯახში მომხდარ სამხიარულო მოვლენისა გამო.

ვარშავა. საუნივერსიტეტო ეგზამენები დასრულდა. უნივერსიტეტის წესდების ხელახლა შემმუშავებელმა კომისიამ თავისი მუშაობა გაათავა. აგვისტოს დამდეგს შემუშავებულს პროექტს უნივერსიტეტის საბჭო განიხილავს.

პეტერბურგი. 7 ივნისს ჩამოვიდა დიდი მთავრინა ელისაბედი თეოდორეს ასული.

8 ივნისი

პეტერბურგი. დედოფალ იმპერატრიცის ალექსანდრა თეოდორეს ასულის ჯანმრთელობის ბიულეტენი 7 ივნისს: მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ და მაღალ ახალ-შობილმა მთელი დღე და ღამე კარგად გაატარეს.

კრადოკი. კვიცინგერის რაზმი რკინის გზის ლიანდაგზედ გადავიდა ბაროდსთან და ეხლა დასავლეთით მიდის.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. დილონმა იკითხა შეთანხმდნენ თუ არა დიდი სახელმწიფონი იმ საზღაურის შესახებ, რომელიც ჩინეთმა უნდა გადაიხადოსო. კრანბორნმა უპასუხა, რომ ჩინეთის რწმუნებულთათვის წარდგენილ საერთო ნოტაში საზღაური გამოანგარიშებულია 450 მილიონით.

პარიჟი. სენატი საღამოს სხდომაზედ ასოციაციათა შესახებ კანონის განხილვას დაუბრუნდა. ზოგიერთნი ორატორნი ასაბუთებენ მათ მიერ აღნიშნულ დამატებათ მე-13 მუხლისას. ყველა ეს წინადადება უარყოფილ იქმნა. მეზიერმა განაცხადა, რომ ამ კანონ-პროექტით თავისუფლება მიეცეს ყველა კონგრეგაციას, რომელიც საკეთილო მოქმედო საქმეებს ემსახურება და რომელიც ავრცელებს საზღვარზედ საფრანგეთის გავლენას და საფრანგეთის სახელ-დიდებას; მეზიერმა აღნიშნა ამასთან ის მსხვერპლნი, რომელთაც სწირავენ გერმანია და იტალია თავიანთ მისიონერთა დაწესებულებათ, ეხმარებიან საფრანგეთის გავლენიანობის საქმეს, აღიარა აგრეთვე საქველ-მოქმედო დაწესებულებათა სარგებლობა, მაგრამ მაინც საჭიროდ სთვლის ამ კონგრეგაციებზედ მეთვალყურეობის შემოღებას. მიზეზის წინადადება უარყოფილ იქმნა.

ტიანძინი. ჩინეთის ჯარებმა, შეერთებულ ჯარების უფროსთა ნებართვით დაიჭირეს რამდენიმე პატარა ადგილი იანცუნის მახლობლად სადაც უცხოელთა ჯარები უკვე წავიდნენ.

რომი. სენატი. გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის შესახებ კამათობა. გარეშე საქმეთა სამინისტრომ იგივე განაცხადა, რაც პალატაში. მან უჩვენა იმ გარემოებაზედ, რომ იტალიის ინტერესები ხმელთა შუა-ზღვასა და ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ საკმაოდ უზრუნველ-ყოფილიაო. იტალიას შეუძლიან მართლაც თავისთავს უთხრას, რომ დაეხმარე მშვიდობიანობის დაცვის საქმესო (მოწონების ნიშნებია). ამის შემდეგ ბიუჯეტი ხმებს დართულ იქმნა.

პეტერბურგი. გაზ. „Россія“-ს სიტყვით, საშუალო სკოლის რეფორმისთვის არჩეულმა კომისიამ 5 ივნისს გადაათვალიერა იმ გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებელთა გაკვეთილების ტაბლიცები, სადაც მომავალ სამოსწავლო წლიდგან სწავლა შემოღებული იქმნება ახალის პროგრამით. აზრადა აქვთ 1901—1902 წელში ლათინური ენა გამორიცხონ პირველ და მეორე კლასიდგან, ხოლო ბერძნული—მეოთხე და მესამე კლასიდგან. სხვა კლასებში წინანდელი პროგრამები დარჩება, ამ მიმდინარე წლის აგვისტოდგან გიმნაზიის ორ უმცროს კლასში შემოღებული იქმნება გეოგრაფიების სწავლა; რეალურს სასწავლებლებში პირველ და მეორე კლასებში შემოღებული იქმნება ისტორიის სწავლა და გაძლიერებული იქმნება მათემატიკის სწავლა პირველს კლასში და გეოგრაფიისა და ბუნების მეტყველებისა მეორე კლასში.

პეტერბურგი. „Новое Время“ იუწყება, რომ კომისიამ საერო განათლების მინისტრის თავმჯდომარეობით მეცადინეობა დაასრულაო. განხილულ იქმნა საშუალო სასწავლებელთათვის მასწავლებელთა მომზადების საქმე. კომისიის შრომის შედეგი დაბეჭდილი იქმნება რამდენისამე ეგზემპლიარად დაურიგდებათ სამზრუნველო საბჭოებსა და გუბერნატორებს ცალკე სხდომებში განსახილველად, რომელიც შესდგება თავად-აზნაურთა, ერობისა, ქალაქისა და სხვათა წარმომადგენლებისაგან.

ახსოვთ მხიარული, ლამაზი და კოხტა ახალგაზრდა ქალი—ბლანში. 25 წლისა იყო ბლანში, როდესაც მეზობლების თვალთაგან მიეფარა. მას შემდეგ ეს 25 წელიწადია აღარავის უნახავს იგი. მეზობლები, რასაკვირველია, ჰკითხავდნენ დედას, რა იქნა ქალი, რა მოუვიდა და სად წავიდაო, მაგრამ ქ-ნი მონიე ყველას ტირილით უამბობდა, რომ ჩემი ქალი ჭკუაზედ შესცდა, შინა მყავს დამწყვდეული, მკურნალები ყოველ დღე მოდიან და სწამლობენო.

როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, ბლანშ მონიეს ახალგაზდობისას ერთი ვექილი ჰყვარებია, ვექილიც თანაუგრძნობდა თურმე, მაგრამ დედა დიდი წინააღმდეგი ყოფილა იმათის შეუღლებისა. რამდენისამე წლის შემდეგ ვექილი უეცრად გარდაცვლილა და მას შემდეგ ბლანში აღარავის უნახავს. მეზობლებს ხშირად ესმოდათ თურმე სახლიდგან ყვირილი და მწარე ტირილი, მაგრამ დედა, როგორც ზემოდაც იყო ნათქვამი, ყველას იმას ეუბნებოდა, რომ ჩემი ქალი სულით-ავადმყოფიაო. მთელი ხუთი-ექვსი წელიწადი ისმოდა თურმე ტირილი ოთახიდგან; უკანასკნელად, ექვსის წლის შემდეგ, ტირილი ერთ მეზობელს გაუგონია, ქალი მწარედ ამბობდა თურმე: „ღმერთო ჩემო, როდის გამანთავისუფლებენ? სად ჩამკეტეს? საშინელ ტანჯვასა ვგრძნობო?“ ქ-ნ მონიეს ისეთის პატიოსანი ქალის სახელი ჰქონია გავარდნილი, რომ აზრად არავის მოსდიოდა ძალმომრეობა და ქალის ძალად დამწყვდევა.

უკანასკნელ 25 წელიწადს მონიე კარ-ჩაკეტილი სცხოვრობდა თურმე, შვილისა და მახლობელ ნაცნობთა გარდა აღარავის იღებდა. გამოაშკარავდა ეს გულ-შემზარავი დრამა მოახლის წყალობით, რომელსაც წერილით შეუტყობინებია პოლიციისათვის, რომ ქ-ნ მონიეს ქალი დამწყვდეული ჰყავსო. საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ ერთად ერთი წინანდელი მოახლე მომკვდარა და ქ-ნ მონიეს ეს ახალი დაუჭერია. როდესაც პოლიციის კომისარი მისულა, ქ-ნ მონიეს არ მიუღია და სახლში არ შეუშვია. კომისარი ვაჟთან წასულა, მაგრამ ვერც იმასთან გაუწყვია-რამ. მაშინ კომისარი კანონის ძალით შესულა სახლში, უპოვნია ბლანშის ოთახი და კარები გაუღებინებია. პირველ ხანს ბნელ ოთახში ვერაფერი გაურჩევიათ, მხოლოდ საძაგელი სუნი სცემიათ. ერთად-ერთი ფანჯარა ოთახისა ფიცრებით ყოფილა აკრული. როდესაც ეს ფიცრები აუძრიათ, საზარელი სურათი დაუნახავთ: ჩონჩხათ ქცეული ქალი, ტიტველ-შიშველი, ძონძებსა და კონკებზედ იწვა თურმე. თმა აწეწილი ჰქონია, არც საკვირველია: მთელი 25 წელიწადი არ დაუვარცნია. ტანზედ იმდენი ჭუჭყი ჰქონია ბლანშს, რომ სპეციალისტი მიუწვევიათ ქიმიურის საშუალებით ამ ჭუჭყის ასაცლელად. ჭიებიც-კი დაცოცავდნენ თურმე ქალის ტანზედ. ოთახი სიბინძურით ყოფილა სავსე; კომისარს, გამომძიებელს და ბრალმდებელს რამდენიმე წუთს ძლივს გაუძლიათ ოთახში.

ბლანშ მონიე საავადმყოფოში გაუგზავნიათ. საწყალს ლაპარაკი ისე დავიწყებია, რომ ორიოდე სიტყვის წარმოთქმას ძლივს-ღა ახერხებს თურმე. გონებაც, როგორც ეტყობა, არევია. „ნუ თუ ეს მართლა ცააო“? წამოუძახნია ტანჯულს სიხარულით, როდესაც საავადმყოფოს ფანჯრიდგან გაუხედნია. ეხლა ქალი ლაპარაკსა და სიარულს ნელ-ნელა ეჩვევა.

მოხუცი მონიე და იმისი შვილი იმ წამსვე დაუპატიმრებიათ. გამოძიებამ დღემდე ვერ გამოააშკარავა ამ დრამის მიზეზი. ვერ გაუგიათ, რამ აიძულა მხეცი-დედა, რომ ისე სასტიკად და შეუწყალებლად მოეპყრობოდა ღვიძლ ქალს. საშინელი სასჯელი მოელოდა მოხუც დედას, რომ უეცრად საპყრობილეში არ მომკვდარიყო. დაუპატიმრებიათ თუ არა, ქ-ნი მონიე უქეიფოდ გამხდარა და 25 მაისს (ახალის სტილით) საპყრობილეს საავადმყოფოში მომკვდარა კიდეც. რამდენისამე წუთით ადრე თავისი მოძღვარი დაუბარებია, აბბატი ბერტო. საავადმყოფოს წინ ამ დროს დიდძალი ხალხი შეკრებილა. როდესაც მოხუცი მომკვდარა, აბბატს აივნიდგან უთქვამს ხალხისათვის: „ქ-ნმა მონიემ ისევე წმიდად განისვენა, როგორც წმიდად სცხოვრობდა. ეს ქალი უდანაშაულოდაა წამებულიო“. ამ სიტყვებს ისე აულელვებია ხალხი, რომ კინაღამ პატივცემულ აბბატისათვის იქვე ანდერძი აუგიათ.

შემდეგი გამოძიება, ეჭვი არ არის, გამოააშკარავებს ამ სამწუხარო ისტორიის საიდუმლოებას. ბლანშ მონიე ამ ჟამად 50 წლის ქალია.

ი. ა—ძე

განცხადებანი

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

ჰიგიენური
ბორნო-ცრიმოლის საპონი
პროვიზორის
გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს, ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ

ოქროს მედალი ლონდონი 1893 წ.
ფასი თითო ნაჭერის 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ. იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სა-ფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. (48—6.—45)

კავკასიის სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო
გამოფენა 1901 წ.

გამოფენა დაიწყობა ტფილისში 20 აგვისტოს და შემდეგი განყოფილებანი ექმნება:

1, მიწად-მოქმედება.
2, მევენახეობა და მეღვინეობა.
3, საბაღე და საბოსტნე თესლეულობა, სანერგეები და ნერგები.
4, დეკორატიული ბაღოსნობა.
5, ხეხილის მოშენება და მებოსტნეობა.
6, ტყის მოვლა-მოშენება.
7, შინაური საქონელი და ფრინველი.
8, მერძეობისა და საქონლის მოვლა-მოშენების ნაწარმოებნი.
9, მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა.
10, მეთევზეობა და მონადირეობა.
11, სასოფლო-სამეურნეო იარაღი და მანქანები.
12, შინა და სახელოსნო მრეწველობა.
13, საქარხნო მრეწველობა.
14, სამთო მრეწველობა.
15, საპედაგოგიო-საპროფესიონალო განყოფილება.
16, სამეცნიერო-სასტატისტიკო განყოფილება.
17, სამეცნიერო-სამოსწავლო განყოფილება.
18, სამხატვრო განყოფილება.

ბიურო გამოფენისა და კომისარიატის კანცელარია იმყოფება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში, ბარიატინსკის ქუჩაზედ, და ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 10-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

პირის-პირ მოსალაპარაკებლად გამოფენის კომისარი მიიღებს მსურველთ კომისარიატის კანცელარიის ბინაზედ. (10—6.—10)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8-го Іюня 1901 г.
სტამბა ქ. ივ. ხელაძისა, დრის-შესახვევის ქ., № 28.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე